



IBSU

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმა

თბილისი, საქართველო
2018

შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ხარისხის მართვის სისტემის დოკუმენტაცია

ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმა 2018-2025

დამტკიცებულია რექტორის 2018 წლის 16 თებერვლის №36 ბრძანებით (დანართი #1)

დამტკიცებულია

ქვემოთ მოცემული ხელმოწერები ადასტურებს, რომ აღნიშნული დოკუმენტი
წაკითხული და მიღებულია.

ხელმოწერის ავტორები ადასტურებენ, რომ ისინი ნამდვილად ფლობენ წინამდებარე
დოკუმენტში არსებულ ინფორმაციას და უზრუნველყოფენ მასში ასახული პირობების
განხორციელებას.

ბიზნესპროცესების უწყვეტობის
მომზადა: კომისია

დაამტკიცა: რექტორი

დოკუმენტის კოდი : IBSU.PL4.E

ვერსია № : 1.00

განახლების თარიღი : n/a

დამტკიცების თარიღი : 16.02.2018

შპს-ს კუთვნილი დოკუმენტაცია.

წინამდებარე დოკუმენტით სარგებლობამდე, დარწმუნდით, რომ დოკუმენტს აქვს ბოლო
განახლების ნომერი ხარისხის მართვის დოკუმენტაციის პლატფორმაზე მისი შემოწმების გზით.
ცვლილებების მოთხოვნის შემთხვევაში, მიმართეთ სტრატეგიული განვითარების სამსახურს.

შინაარსი

შეტანილი ცვლილებები.....	6
ცვლილებების ნუსხა.....	7
ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმა.....	9
რისკის შეფასება	12
რისკების მართვა.....	13
შემოწმება და განახლება.....	13

შეტანილი ცვლილებები

#	გადაწყვეტილების მიმღები ორგანო	გადაწყვეტილების №	თარიღი
1.			

თავდაპირველი ვერსია: 16.02.2018

ცვლილებების ნუსხა

#	თარიღი	მუხლი	გვერდის №	შენიშვნა
1.				

ბიზნეს პროცესების
უწყვეტობის გეგმა

შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტისთვის (შემდგომში „უნივერსიტეტი“) ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმის (შემდგომში „გეგმა“) არსებობა მნიშვნელოვანია. ჩვენ ვაღიარებთ, რომ ვართ, დავიცვათ და უწყვეტი მომსახურებით უზრუნველყოთ სტუდენტები, ფაკულტეტი, თანამშრომლები და სტუმრები ნებისმიერ დროს, მათ შორის პროცესების მნიშვნელოვანი ან უმნიშვნელო შეფერხების შემთხვევაში. გეგმა უზრუნველყოფს ბიზნეს პროცესების აღდგენას კრიზისულ სიტუაციებში. გეგმა მოიცავს უნივერსიტეტის ბიზნეს ოპერაციების ყველა ტექნიკურ და არატექნიკურ სფეროს, მათ შორის კომუნიკაციებს, მონაცემთა შენახვასა და აღდგენას, პროგრამულ სისტემებს, ქსელის ხელმისაწვდომობას, აკადემიურ და სხვა ინსტიტუციონალურ პროცესებსა და ადამიანურ რესურსებს.

გეგმა აყალიბებს მკაფიო გზამკვლევს ყველა ჩვეული ბიზნეს პროცესის აღსადგენად, რაც უნივერსიტეტს საშუალებას მისცემს დაუბრუნდეს „ჩვეულებრივ საქმიანობას“. გეგმა მოიცავს ყველა სტრუქტურული ერთეულისთვის აუცილებელ პროცესს, რაც მათ საშუალებას მისცემს მინიმუმამდე შეამცირონ დანაკარგები, აღადგინონ შეფერხებული ადმინისტრაციული ფუნქციების განხორციელება და გააგრძელონ სტუდენტების, ფაკულტეტისა და პერსონალის მომსახურება. გეგმა დინამიურია - სტრუქტურული და ტექნოლოგიური ცვლილებებიდან გამომდინარე მუდმივად ექვემდებარება განახლებას.

უნივერსიტეტის გეგმის განვითარებისა და შემუშავების ძირითადი ეტაპებია:

- ძირითადი ბიზნეს პროცესების იდენტიფიცირება;
- გეგმის შემუშავება, იმის დასადგენად, თუ რა ძირითადი პროცესები აღდგება/როგორ შეამცირდეს დანაკარგი საქმიანობის შეფერხების შემთხვევაში;
- გეგმის განხორციელება;
- გეგმის შემოწმება და პროცესების ცვლილებისას მისი განახლება.

უნივერსიტეტის გეგმა მოიცავს ოთხ ძირითად კომპონენტს:

- **ბიზნესის ზემოქმედების ანალიზი** - ეს კომპონენტი განსაზღვრავს ძირითად ბიზნეს პროცესებს, განსაზღვრავს „მოცდენის პერიოდის“ ხანგრძლივობის მაქსიმალურ ზღვარს.

- **რისკის შეფასება** - ეს მეორე ელემენტი განსაზღვრავს კონკრეტულ საფრთხეს დაწესებულებაში, ადგენს „რისკის ხარისხს“, რომელიც თითოეულ პოტენციურ მოვლენას უკავშირდება.
- **რისკების მართვა** - ეს კომპონენტი იკვლევს რისკის შეფასების შედეგებს, განსაზღვრავს თუ რომელი რისკები მოითხოვს სპეციფიკური მართვის განხორციელებას და ადგენს წერილობით, საჯაროდ გავრცელებულ, ხელმისაწვდომ გეგმას, რომელიც ასახავს ბიზნეს პროცესების აღსადგენად საჭირო ქმედებებს / აქტივობებს, რომელიც უნდა განხორციელდეს დანაკარგების შემცირებისათვის შეფერხების ფაქტის დადგობის შემთხვევაში.
- **შემოწმება და განახლება** - საბოლოო კომპონენტი განსაზღვრავს შსს-ს მეთოდოლოგიას მუდმივად შეამოწმოს და განაახლოს გეგმას, ასევე გეგმის ცვლილებები გაუზიაროს თანამშრომლებს.

ბიზნესზე ზემოქმედების ანალიზი

ბიზნესზე ზემოქმედების ანალიზი ტარდება ბიზნესის უწყვეტობის დაგეგმვის პროცესში ერთ-ერთ საწყის ეტაპზე. ეს პროცესი მოიცავს ძირითადი ბიზნესის ფუნქციების იდენტიფიკაციას, განსაზღვრავს სავარაუდო „მოცდენის პერიოდს“. უნივერსიტეტში ძირითადი ბიზნეს პროცესები შეიძლება განთავსდეს სამ კატეგორიად:

- **უსაფრთხოება** - ყველა სტუდენტისთვის, ფაკულტეტისთვის, თანამშრომლებისათვის, კამპუსისა და გარემომცოფი საზოგადოებისთვის უსაფრთხო აკადემიური გარემოს შენარჩუნება.
- **ბიზნესაქმიანობის მხარდამჭერი მოქმედებები** - საქმიანობა, რომელიც საშუალებას მისცემს უნივერსიტეტს შეინარჩუნოს არსებითი ბიზნეს საქმიანობა, დაიცვას ქონება და უზრუნველყოს დაწესებულების ფინანსური სიცოცხლისუნარიანობა.
- **სწავლა, სწავლება და კვლევა** - ყველა პროგრამა და მომსახურება, რომელიც უშუალოდ ხელს უწყობს უნივერსიტეტის აკადემიური მისიის განხორციელებას.

რისკის შეფასება

რისკების შეფასება მიმართულია პოტენციურ საფრთხეებსა და საშიშროებაზე, რაც უარყოფითად შეიძლება აისახოს უნივერსიტეტზე და ორინეტირებულია შეაფასოს

შემთხვევის დადგომის ალბათობა და გავლენის სიმძიმე. დაუცველობის ანალიზი ბიზნესის პროცესების უწყვეტობის გეგმის საფუძველია და ის გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება ინსტიტუტს გამოეყენებინა დამატებითი დრო და რესურსები მოსალოდნელი და მძიმე მოვლენების შესამცირებლად და გეგმის შესამუშავებლად.

რისკების მართვა

უნივერსიტეტის გეგმა ავითარებს განსაზღვრულ სტრატეგიას საფრთხის რეალიზაციისას. ეს სტრატეგიები მოიცავს:

- შეფერხებების თავიდან აცილება და ქონების დაცვა;
- რისკის რეალიზაციის დროს განსახორციელებელი პროცედურები;
- ინციდენტთან დაკავშირებული დაგეგმილი რეაგირება.

განხორციელება, შემოწმება და განახლება

შემოწმება მნიშვნელოვანია დაგეგმვისა და განვითარებისთვის რიგი მიზეზების გამო. თუ უნივერსიტეტს არ დაადგენს პროცესების აღდგენისთვის განსაზღვრულ რეალურ დროს, პროცესების შეფერხების შემთხვევაში უნივერსიტეტის საჭიროებებსა და გეგმის ფაქტობრივ პროცედურებს შორის მოლოდინების ფართო სივრცე შესაძლოა წარმოიქმნას. ჩვენ უნდა განვაავითაროთ მეთოდოლოგია, რათა რეგულარულად შევამოწმოთ შემოთავაზებული სტრატეგიები და ასევე უზრუნველყოთ თანამშრომლების სათანადო ინფორმირება.

ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმის განხორციელების პროცესის კოორდინირებას უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარების სამსახური. გეგმის განახლება ხორციელდება ყოველწლიურად, ბიზნეს პროცესების ცვლილების/საჭიროებიდან გამომდინარე.

ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმა

ზარალის შემცირების სტრატეგია ორიენტირებულია რეალიზებული რისკის შედეგების აღმოსაფხვრელად გეგმის შესაბამისად განსაზღვრული ქმედებების განხორციელებაზე, რომლებიც უნდა ემსახურებოდეს მინიმალური დანახარჯების გაწევით მაქსიმალურად მოკლე დროში შეფერხებული ბიზნეს პროცესების ეფექტურ აღდგენას.

ძირითადი რისკები

როგორც შემდგომში გამოიკვეთა: შხსუ-მ განსაზღვრა ოთხი კატეგორიის პოტენციური ბიზნეს რისკი: ოპერატიული, ტექნოლოგიური, სამართლებრივი და ფინანსური, სტრატეგიული და რეპუტაციასთან დაკავშირებული რისკი.

ოპერატიული	ტექნოლოგიური	ფინანსური და სამართლებრივი	სტრატეგიული და რეპუტაციული
<ul style="list-style-type: none"> • აღჭურვილობების, სასწავლო ლაბორატორიული მარაგების, კვლევითი ნიმუშების დაკარგვა/განადგურება • დასაქმებულთა არყოფნა (გათავისუფლების, შრომითი ურთიერთობების შეჩერების, გაუთვალისწინებელი შემთხვევის გამო) • კომუნალური მომსახურებების შეწყვეტა (ელექტროენერგია, გათბობა, კოდენცირება, წყალი) • ძირითადი მასალების ჩანაწერების განადგურება/მოძიების შეუძლებლობა 	<ul style="list-style-type: none"> • სატელეფონო/ინტერნეტ სერვისების შეწყვეტა • ძირითადი აღჭურვილობების/ტექნიკური მოწყობილობების ნაკლებობა • ძირითადი პროგრამული უზრუნველყოფის არარსებობა (კლიენტთა სერვერი/საიტი) • მონაცემთა მიუწვდომლობა/განადგურება 	<ul style="list-style-type: none"> • ჯარიმები და პირგასამტეხლობები • გადასახადები • შემოსავლების ნაკლებობა • ტექნიკური მოწყობილობების/აღჭურვილობების /სხვა ინვენტარის ჩანაცვლების ხარჯი; • სამართლებრივი დავები • ხელშეკრულებების დარღვევა • გაუთვალისწინებელი ხარჯი 	<ul style="list-style-type: none"> • შემცირებული ჩარიცხვები • ავტორიზაციის/აკრედიტაციის დაკარგვა • ნებართვების დაკარგვა • ნდობის დაკარგვა • ნეგატიური მედია გამოხმაურებები

რისკის შეფასების ცხრილი

ოპერატიული			
რისკი	ხდომილების ალბათობა (მაღალი, საშუალო, დაბალი)	გავლენა უნივერსიტეტის საქმიანობაზე (მაღალი, საშუალო, დაბალი)	გავლენა სტუდენტებზე (მაღალი, საშუალო, დაბალი)

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

აღჭურვილობების, სასწავლო - ლაბორატორიული მარაგების, კვლევითი ნიმუშების დაკარგვა/განადგურება			
სასწავლო აუდიტორიები	დაბალი	დაბალი	საშუალო
კომპიუტერული ლაბორატორიები	დაბალი	დაბალი	საშუალო
ადმინისტრაციული შენობა	დაბალი	მაღალი	საშუალო
სასწავლო შენობა	დაბალი	მაღალი	მაღალი
ბიბლიოთეკა	დაბალი	მაღალი	მაღალი
დარგობრივი ლაბორატორიები	დაბალი	მაღალი	მაღალი
კვლევითი მასალები	დაბალი	მაღალი	საშუალო
დასაქმებულთა არყოფნა (გათავისუფლების, შრომითი ურთიერთობების შეჩერების, გაუთვალისწინებელი შემთხვევის გამო)			
აკადემიური	დაბალი	მაღალი	მაღალი
მოწვეული	დაბალი	საშუალო	მაღალი
ძირითადი ადმინისტრაციული	დაბალი	მაღალი	საშუალო
სხვა ადმინისტრაციული	დაბალი	საშუალო	დაბალი
კომუნალური მომსახურებების შეწყვეტა (ელექტროენერგია, გათბობა, კონდენცირება, წყალი)			
ელექტროენერგია	დაბალი	საშუალო	საშუალო
გათბობა	დაბალი	საშუალო	საშუალო
კონდენცირება	დაბალი	საშუალო	დაბალი
წყალი			
ტექნიკური	დაბალი	საშუალო	საშუალო
სასმელი	საშუალო	საშუალო	საშუალო
ძირითადი მასალების ჩანაწერების განადგურება/მოძიების შეუძლებლობა			
არქივი	დაბალი	მაღალი	საშუალო
მიმდინარე დოკუმენტაცია	დაბალი	მაღალი	მაღალი
ტექნოლოგიური			
სატელეფონო/ინტერნეტ-სერვისების შეწყვეტა			
სატელეფონო სერვისები	საშუალო	საშუალო	დაბალი
ინტერნეტ სერვისი	დაბალი	მაღალი	მაღალი
ძირითადი აღჭურვილობების/ტექნიკური მოწყობილობების ნაკლებობა			
ძირითადი აღჭურვილობა	დაბალი	მაღალი	მაღალი
ტექნიკური უზრუნველყოფა	დაბალი	მაღალი	მაღალი
ძირითადი პროგრამული უზრუნველყოფის არარსებობა (კლიენტთა სერვერი/საიტი)	დაბალი	მაღალი	საშუალო
მონაცემთა მიუწვდომლობა/განადგურება	დაბალი	მაღალი	მაღალი
ფინანსური და სამართლებრივი			
ჯარიმები და პირგასამტეხლოები			
ადმინისტრაციული	დაბალი	მაღალი	საშუალო
საგადასახადო ჯარიმები	დაბალი	მაღალი	საშუალო
სხვა	დაბალი	მაღალი	საშუალო

ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმა

გადასახადები	დაბალი	მაღალი	დაბალი
შემოსავლების ნაკლებობა			
სწავლის გადასახადის ნაკლებობა	საშუალო	მაღალი	საშუალო
გრანტების/დაფინანსებების/პროექტების ნაკლებობა	საშუალო	საშუალო	დაბალი
ტექნიკური მოწყობილობების/აღჭურვილობების/სხვა ინვენტარის ჩანაცვლების ხარჯი			
ტექნიკური უზრუნველყოფა	საშუალო	მაღალი	საშუალო
პროგრამული უზრუნველყოფა	საშუალო	მაღალი	მაღალი
საოფისე ინვენტარი	საშუალო	მაღალი	დაბალი
სამართლებრივი დავები			
სამართლებრივი დავები	საშუალო	მაღალი	დაბალი
ხელშეკრულებების დარღვევა			
ტექნიკური მომსახურება	დაბალი	მაღალი	საშუალო
საგანმანათლებლო მომსახურება	დაბალი	მაღალი	მაღალი
გაუთვალისწინებელი ხარჯები			
გაუთვალისწინებელი ხარჯები	საშუალო	საშუალო	საშუალო
სტრატეგიული და რეპუტაციული			
შემცირებული ჩარიცხვები	საშუალო	მაღალი	საშუალო
ავტორიზაციის/აკრედიტაციის დაკარგვა			
აკრედიტაცია	დაბალი	მაღალი	მაღალი
ავტორიზაცია	დაბალი	მაღალი	მაღალი
ნებართვების გაუქმება			
ნებართვების გაუქმება	დაბალი	მაღალი	საშუალო
ნდობის დაკარგვა	დაბალი	მაღალი	მაღალი
ნეგატიური მედია გამოხმაურებები	საშუალო	მაღალი	მაღალი

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ოპერატიული					
რისკი	პრევენციული ქმედება	მოცდენის პერიოდი	პასუხისმგებელი ერთეული/პირი	ქმედება	შეფასება
აღჭურვილობების, სასწავლო ლაბორატორიული მარაგების, კვლევითი ნიმუშების დაკარგვა/განადგურება					
სასწავლო აუდიტორიები	ყოველთვიური შემოწმება	1 დღე	სამეურნეო სამსახური, ელექტ. საინფორმაც. სისტემების სამსახური, დეკანი	სასწავლო აუდიტორიის ხელმისაწვდომობა	კანცლერი, დეკანი
კომპიუტერული ლაბორატორიები	ყოველკვირეული შემოწმება	1 დღე	სამეურნეო სამსახური, ელექტ. საინფორმაც. სისტემების სამსახური, დეკანი	ლაბორატორიის ხელმისაწვდომობა	კანცლერი, დეკანი
ადმინისტრაციული შენობა	შემოწმება ყოველ 7 წელიწადში	4 დღე	სამეურნეო სამსახური, კანცლერი	ადმინისტრაციული შენობის ხელმისაწვდომობა	რექტორი
სასწავლო შენობა	შემოწმება ყოველ 7 წელიწადში	2 დღე	სამეურნეო სამსახური, კანცლერი	სასწავლო შენობის ხელმისაწვდომობა	რექტორი
ბიბლიოთეკა	ყოველთვიური შემოწმება	1 დღე	სამეურნეო სამსახური, ელექტ. საინფორმაც. სისტემების სამსახური, პრორექტორი სასწავლო დარგში, კანცლერი	ბიბლიოთეკის ხელმისაწვდომობა	რექტორი
დარგობრივი ლაბორატორიები	ყოველთვიური შემოწმება	4 დღე	სამეურნეო სამსახური, დეკანი	ლაბორატორიების ხელმისაწვდომობა	კანცლერი, დეკანი
კვლევითი მასალები	სემესტრული შემოწმება	1 კვირა	პრორექტორი სამეცნიერო-კვლევით დარგში, კანცლერი	განახლება/ახლის შექმნა	რექტორი

დასაქმებულთა არყოფნა (გათავისუფლების, შრომითი ურთიერთობების შეჩერების, გაუთვალისწინებელი შემთხვევის გამო)

ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმა

რისკი	პრევენციული ჭმედება	მოცდენის პერიოდი	პასუხისმგებელი ერთეული/ პირი	ქმედება	შეფასება
აკადემიური	აკადემიური წახალისება, ჯანმრთელობის დაზღვევა სამუშაო პირობებთან დაკავშირებულ პრობლემებზე სწრაფი რეაგირება	5 დღე	კანცელარიის და ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, დეკანი, პრორექტორი სასწავლო დარგში	დროებითი ჩანაცვლება, ვაკანსიის გამოცხადება	რექტორი
მოწვეული	აკადემიური წახალისება, ჯანმრთელობის დაზღვევა სამუშაო პირობებთან დაკავშირებულ პრობლემებზე სწრაფი რეაგირება	5 დღე	კანცელარიის და ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, დეკანი, პრორექტორი სასწავლო დარგში	დროებითი ჩანაცვლება, ვაკანსიის გამოცხადება	რექტორი
ძირითადი ადმინისტრაციული	აკადემიური წახალისება, შექება და დაწინაურება, ჯანმრთელობის დაზღვევა სამუშაო პირობებთან დაკავშირებულ პრობლემებზე სწრაფი რეაგირება, ანაზღაურებადი უქმე დღეები, ინდივიდუალური მოქნილი სამუშაო განრიგი	2 კვირა	კანცელარიის და ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, კანცლერი	დროებითი ჩანაცვლება, ვაკანსიის გამოცხადება	კანცლერი, რექტორი
სხვა ადმინისტრაციული	აკადემიური წახალისება, შექება და დაწინაურება, ჯანმრთელობის დაზღვევა სამუშაო პირობებთან დაკავშირებულ პრობლემებზე სწრაფი რეაგირება, ანაზღაურებადი უქმე დღეები, ინდივიდუალური მოქნილი სამუშაო განრიგი	10 დღე	კანცელარიის და ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, კანცლერი	დროებითი ჩანაცვლება, ვაკანსიის გამოცხადება	კანცლერი

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

კომუნალური მომსახურებების შეწყვეტა (ელექტროენერგია, გათბობა, კოდენცირება, წყალი)					
რისკი	პრევენციული ქმედება	მოცდენის პერიოდი	პასუხისმგებელი ერთეული/პირი	ქმედება	შეფასება
ელექტროენერგია	უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ელექტროენერგიის სადენების ყოველ 5 წელიწადში ერთხელ შემოწმება	1 დღე	სამეურნეო სამსახური	ელექტროენერგის დამოუკიდებლად უზრუნველყოფა - დიზელზე მომუშავე გენერატორი	კანცლერი
გათბობა	გათბობის სისტემის ყოველწლიური შემოწმება	1 დღე	სამეურნეო სამსახური	გათბობის უზრუნველყოფა	კანცლერი
კონდენცირება	კონდენცირების სისტემის ყოველწლიური შემოწმება	2 დღე	სამეურნეო სამსახური	კონდენცირების უზრუნველყოფა	კანცლერი
წყალი					
ტექნიკური	წყლის ავზის ყოველთვიური შემოწმება	1 კვირა	სამეურნეო სამსახური	წყლის დამოუკიდებლად უზრუნველყოფა	კანცლერი
სასმელი	უნივერსიტეტის ტერიტორიაზე მიწების შემოწმება ყოველ სამ თვეში	1 დღე	სამეურნეო სამსახური	წყლის დამოუკიდებლად უზრუნველყოფა	კანცლერი
ძირითადი მასალების ჩანაწერების განადგურება/მოძიების შეუძლებლობა					
რისკი	პრევენციული ქმედება	მოცდენის პერიოდი	პასუხისმგებელი ერთეული/პირი	ქმედება	შეფასება
არქივი	ფიზიკური მდგომარეობის შემოწმება	5 დღე	კანცლარიის და ადამიანური რესურსების მართვის სამსახური სამეურნეო სამსახური	აღდგენა	კანცლერი
მიმდინარე დოკუმენტაცია	საქალაქებში თემატური განაწილება, უსაფრთხოების უზრუნველყოფა	2 დღე	კანცლარიის და ადამიანური რესურსების მართვის სამსახური	აღდგენა/ახლის მომზადება	კანცლერი
ტექნოლოგიური					
სატელეფონო/ინტერნეტსერვისების შეწყვეტა					
რისკი	პრევენციული ქმედება	მოცდენის პერიოდი	პასუხისმგებელი ერთეული/პირი	ქმედება	შეფასება
სატელეფონო სერვისები	ყოველსემესტრული შემოწმება	2 დღე	ელექტრონული საინფორმაციო სისტემების სამსახური	სატელეფონო სერვისის ხელმისაწვდომობა	კანცლერი

ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმა

			სამეურნეო სამსახური		
ინტერნეტ სერვისი	-	24 საათი	ელექტრონული საინფორმაციო სისტემების სამსახური	ინტერნეტის სერვისის ხელმისაწვდომობა	კანცლერი
ძირითადი აღჭურვილობების/ტექნიკური მოწყობილობების ნაკლებობა					
რისკი	პრევენციული ქმედება	მოცდენის პერიოდი	პასუხისმგებელი ერთეული/პირი	ქმედება	შეფასება
ძირითადი აღჭურვილობა	განახლებები, ანტივირუსი	24 საათი	ელექტრონული საინფორმაციო სისტემების სამსახური	სათადარიგო მოწყობილობები	კანცლერი
ტექნიკური უზრუნველყოფა (Hardware)	მუდმივი გაწმენდა, გაგრილება	24 საათი	ელექტრონული საინფორმაციო სისტემების სამსახური	სათადარიგო მოწყობილობები	კანცლერი
ძირითადი პროგრამული უზრუნველყოფის არარსებობა (კლიენტთა სერვერი/საიტი)	ყოველკვირეული Backup	24 საათი	ელექტრონული საინფორმაციო სისტემების სამსახური	Back UP	კანცლერი
მონაცემთა მიუწვდომლობა /განადგურება	ყოველკვირეული Backup	1 კვირა	ელექტრონული საინფორმაციო სისტემების სამსახური	Back UP	კანცლერი
ფინანსური და სამართლებრივი					
ჯარიმები და პირგასამტეხლობები					
რისკი	პრევენციული ქმედება	მოცდენის პერიოდი	პასუხისმგებელი ერთეული/პირი	ქმედება	შეფასება
ადმინისტრაციული	შესრულებულ სამუშაოებზე კონტროლის გაძლიერება	3 დღე	კანცლერი, ბუღალტერია	დამატებითი რესურსების მოძიება	რექტორი, სამეთვალყურეო საბჭო
საგადასახადო ჯარიმები	აუდიტორებთან კონსულტაცია	8 თვე	კანცლერი, ბუღალტერია	დამატებითი რესურსების მოძიება	რექტორი, სამეთვალყურეო საბჭო
სხვა	-	5 თვე	კანცლერი, ბუღალტერია	დამატებითი რესურსების მოძიება	რექტორი, სამეთვალყურეო საბჭო
გადასახადები	ეფექტური მექანიზმების გამოყენება	1 კვირა	კანცლერი, ბუღალტერია	დამატებითი რესურსების მოძიება	რექტორი, სამეთვალყურეო საბჭო
შემოსავლების ნაკლებობა					
რისკი	პრევენციული ქმედება	მოცდენის პერიოდი	პასუხისმგებელი ერთეული/პირი	ქმედება	შეფასება

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სწავლების გადასახადის ნაკლებობა	გადახდის პროცედურის მუდმივი მონიტორინგი	1 თვე	კანცლერი, ბუღალტერია	დამატებითი რესურსების მოძიება	რექტორი, სამეთვალყურეო საბჭო
კონტრაქტორე ბისგან შემოსავლების ნაკლებობა	რეგულარული კონტაქტები	1 წელი	კანცლერი, ბუღალტერია	დამატებითი რესურსების მოძიება	რექტორი, სამეთვალყურეო საბჭო
გრანტების/დაფინანსებების/პროექტების ნაკლებობა	პროექტების რიცხვის გაზრდა	1 წელი	კანცლერი, ბუღალტერია	დამატებითი რესურსების მოძიება	რექტორი, სამეთვალყურეო საბჭო
ტექნიკური მოწყობილობების/აღჭურვილობების/სხვა ინვენტარის ჩანაცვლების ხარჯი					
რისკი	პრევენციული ქმედება	მოცდენის პერიოდი	პასუხისმგებელი ერთეული/პირი	აქტივობა	შეფასება
ტექნიკური უზრუნველყოფა	UPS, ჰაერის კონდიციონერება, სემესტრული შემოწმება	კვირეები	კანცლერი, ბუღალტერია	დამატებითი რესურსების მოძიება	რექტორი, სამეთვალყურეო საბჭო
პროგრამული უზრუნველყოფა	განახლებები, ანტივირუსი	კვირეები	კანცლერი, ბუღალტერია	დამატებითი რესურსების მოძიება	რექტორი, სამეთვალყურეო საბჭო
საოფისე ინვენტარი	სემესტრული შემოწმება	კვირეები	კანცლერი, ბუღალტერია	დამატებითი რესურსების მოძიება	რექტორი, სამეთვალყურეო საბჭო
სამართლებრივი დავები	ვალდებულებების დროულად, ჯეროვნად შესრულება	კვირეები	იურიდიული სამსახური, რექტორი	შესაბამისად მოქმედება	რექტორი
ხელშეკრულებების დარღვევა					
რისკი	პრევენციული ქმედება	მოცდენის პერიოდი	პასუხისმგებელი ერთეული/პირი	აქტივობა	შეფასება
ტექნიკური მომსახურება	მუდმივი კომუნიკაცია	3 თვე	კანცლერი, სტუდენტთა და თანამშრომელთა მომსახურების დეპარტამენტი	დამატებითი რესურსების მოძიება	კანცლერი
საგანმანათლებლო მომსახურება	მუდმივი კომუნიკაცია	2 კვირა	სტუდენტურ საქმეთა სამსახური, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	დამატებითი რესურსების მოძიება	რექტორი
გაუთვალისწინებელი ხარჯები	-	1 თვე	კანცლერი	შესაბამისად მოქმედება	რექტორი
სტრატეგიული და რეპუტაციული					
რისკი	პრევენციული ქმედება	მოცდენის პერიოდი	პასუხისმგებელი ერთეული/პირი	ქმედება	შეფასება

ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმა

შემცირებული ჩარიცხვები	ბაზრის კვლევა, PR აქტივობები, პროგრამების განახლება, კვალიფიციური ადამიანური რესურსების განახლება	1 სემესტრი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროგრამის ხელმძღვანელები, დეკანები	PR აქტივობები, პროგრამების შეფასება, სიტუაციის ანალიზი, გაუმჯობესება	რექტორი
------------------------	---	------------	--	--	---------

ავტორიზაციის/აკრედიტაციის დაკარგვა					
რისკი	პრევენციული ქმედება	მოცდენის პერიოდი	პასუხისმგებელი ერთეული/პირი	ქმედება	შეფასება
აკრედიტაცია	სტანდარტებთან შესაბამისობა	1 წელი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროგრამის ხელმძღვანელები, დეკანები	სტუდენტების მობილობის წესით გადასვლა, პროგრამის განახლება	რექტორი
ავტორიზაცია	სტანდარტებთან შესაბამისობა	1 წელი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რექტორი	სტუდენტების მობილობის წესით გადასვლა, ავტორიზაციის თვის განაცხადის შეტანა	რექტორი
ნებართვების გაუქმება	სტანდარტებთან შესაბამისობა	1 თვე	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროგრამის ხელმძღვანელები, დეკანი	განაცხადის შეტანა ნებართვის ასაღებად	რექტორი
ნდობის დაკარგვა	მაღალი ხარისხის შენარჩუნება	6 თვე	რექტორი, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, დეკანი	PR აქტივობები, საპასუხო ქმედებები	რექტორი
ნეგატიური მედია გამომხატურებები	რეგულარული კონტრაქტი მედია გაერთიანებებთან	1 დღე	საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, რექტორი	საპასუხო ქმედებები	რექტორი

დოკუმენტის შესახებ:

დოკუმენტი მომზადდა საუნივერსიტეტო საზოგადოების ჩართულობით და დამტკიცდა რექტორის 2018 წლის 16 თებერვლის №36 ბრძანებით.

ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმა განახლდება ყოველწლიურად.

დოკუმენტის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ:

სტრატეგიული განვითარების სამსახური

აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ, 2;

თბილისი, 0131, საქართველო

tqm@ibsu.edu.ge

+995 32 259 5006

შსს უველას თანაბარ შესაძლებლობებს სთავაზობს, განურჩევლად სქესის, რასის, ეროვნების, წარმომავლობის, რწმენის, საზოგადოებრივი სტატუსის, ფიზიკური, გონებრივი, ემოციური სხვაობისა და სწავლის განსხვავებული უნარისა.

გამოსცა:

შსს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

დავით აღმაშენებლის ხეივანი, 13 კმ., 2, 0131

თბილისი, საქართველო

www.ibsu.edu.ge

contact@ibsu.edu.ge

